# 148 მხოლოდშობილი ძე გვიბოძე

(იოანე 15:13)

1. იმედი არ გვქონდა,
ძვირფასო ღმერთო, ჩვენ.
მოგვეცი სიცოცხლე,
გამოგვისყიდე!
ჩვენ გიძღვნით ყველაფერს
და ვუქადაგებთ სხვებს,
შენი განზრახვები
რომ უნდა შესრულდეს.

(*მისამღერი*)
*ძე გაიღე ჩვენთვის,*
*და გმადლობთ მარადის,*
*რომ ძვირფასი ძე შენ თვით*
*გაიმეტე, მოკვდა ჩვენთვის.*

2. სიკეთით, წყალობით
ჩვენ შენკენ გვიზიდავ.
დიდებულ სახელს ფლობ,
დღითიდღე გვხიბლავ.
მაგრამ უფრო ძვირფას,
საოცარ ძღვენს გვაძლევ,
ძის დაღვრილი სისხლით
გვიბოძებ სიცოცხლეს.

(*მისამღერი*)

*დასასრული*

მამა, ჩვენ გიმღერით და ერთხმად ვლოცულობთ,
ძვირფასი მსხვერპლისთვის მარადჟამს ჩვენ შენ გმადლობთ.

*snylpnw*-GE No. 148 12/15
© 2015 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania

(იხილეთ აგრეთვე იოან. 3:16; 1 იოან. 4:9)